მომხსენებლის შესახებ

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინო ნანობაშვილი მიუნხენის გრაფიკების კაბინეტის (Die Staatliche Graphische Sammlung München) ასისტენტ-კურატორია. იგი მიუნხენის ლუდვიგ მაქიმილიანის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია (2006-2011), განათლება ხელოვნების ისტორიის, სოციოლოგიისა და მუსიკათმცოდნეობის განხრით მიიღო. 2017 წელს ამავე უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ხატვის სწავლება იტალიაში 1560-1630 წლებში“. 2013-2017 წლებში ნინო მიუნხენის ხელოვნების ისტორიის ცენტრალური ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტის „ხაზების ეპისტომოლოგია“ მეცნიერ-თანამშრომელია. პროექტის ფარგლებში ნინოსა და მისი კოლეგების მიერ მიუნხენისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში მომზადდა გამოფენები, რომლებიც XVI-XX საუკუნეების ხატვის შესასწავლად გამოცემულ წიგნებს მიეძღვნა.

2017-2018 წლებში მისი მონაწილეობითა და თანაავტორობით მომზადდა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოფენა მიუნხენის ძველ პინაკოთეკაში „ფლორენცია და მისი მხატვრები: ჯოტოდან ლეონარდომდე“ და ამავე სახელწოდების კატალოგი (Florenz und seine Maler von Giotto bis Leonardo da Vinci, München, Hirmer 2018).

ნინო ნანობაშვილი სხვადასხვა პრესტიჟული სამეცნიერო გრანტის მფლობელია, რომელთა ფარგლებში იგი იტალიური რენესანსის პერიოდის მხატვრობას იკვლევს. მის სამეცნიერო ნაშრომებში დამუშავებული და ახლებურად გააზრებული იქნა იტალიური რენესანსის მანამდე ნაკლებად ცნობილი ხელნაწერები და ჩანახატები. ამ კვლევების შედეგია ნინოს არაერთი პუბლიკაცია, რომელთა შორისაა მონოგრაფიები: „ხელოვანების და ხელოვნების მოყვარულთა აღზრდა. ხატვის საწყისები“ (2018, Michael Imhof Verlag); „წერტილი, წერტილი, მძიმე, ტირე: ნახატების წიგნები ევროპაში 1625-1925 წლებში“ (მ. ჰეილმანთან, უ. ფისტერერსა და ტ. ტოტენბერგთან თანაავტორობით, 2014, Passau: Dietmar Klinger Verlag); „ისწავლე ხატვა: ხატვის ტექნიკები ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის“ (მ. ჰეილმანთან, უ. ფისტერერსა და ტ. ტოტენბერგთან თანაავტორობით. 2015, Passau: Dietmar Klinger Verlag).

ამჟამად მუშაობს დოქტორ ტობიას ტოტენბერგთან ერთად 2016 წელს მიუნხენში ორგანიზებული საერთაშორისო სიმპოზიუმის კრებულზე, რომელიც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის გამომცემლობაში იბეჭდება. კრებული შეეხება ხატვის სწავლების მნიშვნელობას მთელ მსოფლიოში და მასში შევა ტექსტები ევროპის, იაპონიის, ბრაზილიის, სირიისა და სხვა მრავალი ქვეყნის სამხატვრო ტრადიციების შესახებ.